საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვერულავა ოთარ გიორგის ძე

ვერულავა ოთარ გიორგის ძე (დ. 24. I. 1945, თბილისი), ინჟინერი მართვის სისტემების დარგში. ტექ. მეცნ. დოქტორი (1993), პროფესორი (1994). 1967 დაამთავრა სპი-ის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექ. ფაკ-ტი. მუშაობა დაიწყო საქართვ. მეცნ. აკად. ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში, ინფორმაციის გარდაქმნის განყ-ბაში. 1975-იდან ეწევა პედ. საქმიანობას საქართვ. ტექ. უნ-ტში ავტომატური მართვის კათედრაზე. 1998 ვ-ს ინიციატივით შეიქმნა ხელოვნური ინტელექტის კათედრა, რ-საც დღემდე ხელმძღვანელობს. ვ-ს მეცნ. მოღვაწეობის სფეროა ხელოვნური ინტელექტის თეორიის მახასიათებლები, კლასტერირების თეორია, გადაწყვეტილებათა მიღება და აღწერების აგება სახეთა ამოცნობაში. 2005-იდან არის ბაზელის (შვეიცარია) სამეცნ. საზ-ბის კოლეგიის წევრი. გამოქვეყნებული აქვს 2 მონოგრაფია.

თხზ.: ხელოვნური ინტელექტის საფუძვლები კრიპტოგრაფიაში, თბ., 2008.